



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დოქი



დოქი საღვინე ს. ჯანაშიას
სახელობის
საქართველოს მუზეუმი

თბილისი

დოქი, 1. ყელვიწრო, ცალყურა, მრგვალმუცლიანი და სწორძირიანი თიხის ჭურჭელი. დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ სანყლე და საღვინე დ-ებს. პირველისათვის დამახასიათებელია მრგვალი პირი, შედარებით დაბალი და ოდნავ ფართო ყელი, მეორისთვის კი – აჭრილი, ნისკარტიანი ტუჩი, მაღალი, ვიწრო ყელი და დაშვებული ყური. საღვინე დ. გამოირჩევა დახვეწილი ფორმითა და მდიდარი დეკორით. გვხვდება საქართვ. სხვადასხვა კერამ. ცენტრში დამზადებული წერნაქით მოხატული და უწერნაქო, მოჭიქული და მოუჭიქავი, ზოგჯერ ზეთის საღებავებით მოხატული დ-ები. შემკულია გომ. და მცენარეული, უფრო იშვიათად კი ანთროპომორფული და ზომორფული გამოსახულებებით. გვიანდ. ხანის ქართ. წერილობით ძეგლებში მოხსენებულია ლითონის, მეტწილად ვერცხლის დ-ები, რ-ებიც საგ-ბის მაღალ ფენებში იხმარებოდა. ფუნქციის, ტევადობისა და ფორმის მიხედვით საქართვ. სხვადასხვა კუთხეში დ-ს სხვადასხვა სახელი ერქვა (თუნგიანი, ხელადა, თუნგიანი ხელადა, ხარა დოქი და სხვ.). დ. ქართ. წერილობით წყაროებში დამონმებულია XVIII ს-იდან, ხოლო არქეოლოგიაში – ბრინჯაოს ხანიდან. 2. სითხისა და მარცვლეულის სანყაო საქართველოში. მისი ტევადობა ერთგვაროვანი არ იყო და შეადგენდა დაახლ. 3,7 ლ (გურიაში) ან 6 ლ (იმერეთსა და აღმ. საქართველოში). წყაროებში გვხვდება XVIII ს-იდან, თუმცა მისი სანყაოდ გამოყენება გაცილებით ადრეა სავარაუდო.

რ. თოდუა

გ. ჯაფარიძე
